შირაქი

SHIRAKI

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№19 (10.075)

3—10 ივნისი 2023 წელი

ფასი: 60 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

პირველი ივნისი - ბავშვთა დაცვის დღე

1 ივნისი, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე 1950 წლიდან მრავალ ქვეყნაში აღინიშნება, სადაც ბავშვებისთვის მასობრივი, გასართობი და კულტურული ღონისძიებები ეწყობა. გამონაკლისი ამ მხრივ არც საქართველო და არც ჩვენი მუნიციპალიტეტია. ეს დღე ჩვენმა მუნიციპალიტეტმაც მასშტაბურად და დატვირთული ღონისძიებებით აღნიშნა.

ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, მუნიციპალურ ბიბლიოთეკას ქ.დედოფლისწყაროს საბავშვო ბაღის აღსაზრდელები სტუმრობდნენ. მათ ცარცით მოხატეს ბიბლიოთეკის შესასვლელი, შემდეგ ღონისძიება ბიბლიოთეკაში გაგრძელდა. ბიბლიოთეკის ხელმძღვანელმა **მანანა მაჭარაშვილმა** მიულოცა ბავშვებს ბავშვთა დაცვის დღე და აღნიშნა: „ეს დღე ყოველთვის სასიხარულო და სასიამოვნოა ყველასთვის, რადგან ბავშვი შინაც და გარეთაც ყველაზე საყვარელი არსებაა. თავიანთი მოქარგული ქართულით არაერთმა ქართველმა მწერალმა გაუფერადა ბავშვებს სამყარო: ეკატერინე გაბაშვილი, შიო მღვიმელი, მაყვალა მრევლიშვილი, ნოდარ დუმბაძე. ისინი იყვნენ მწერლები, რომლებიც ბავშვურ გულუბრყვილობას, მათდამი სიყვარულს პატარების ენაზე აფრქვევდნენ. ვულოცავ ყველა ბავშვს ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს. ვუსურვებ სიკეთეს, სილაღეს და წარმატებულ მომავალს“.

საბავშვო განყოფილების თანამშრომლებმა **ცეცელო ჯანაშვილმა და ნაირა კაისაძემ** წაუკითხეს ბავშვებს გამოცანების კიდობანი და ჭაბუა ამირეჯიბის „თაფლის წვეთი“. ბავშვებმა დაათვალიერეს ბიბლიოთეკის განყოფილებები. **ნატალია აბულაშვილმა, ნიკოლოზ ხოსიტაშვილმა, ბარბარე ბოჭორიშვილმა და მარიამ სამუკაშვილმა** წაიკითხეს ლექსები. ბაღის აღსაზრდელები კი საკუთარი პროგრამით წარდგნენ ღონისძიებაზე. იცეკვეს, იმღერეს და იმხიარულეს.

ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს მიეძღვნა ხელნაკეთი ნივთებისა და ნახატების გამოფენა მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. გამოიფინა ხელგარჯილობის წრის წევრთა (ხელმძღვანელი: **მაყვალა ბოჭორიშვილი**), სოფელ სამრეკლოს პროფესიული სასწავლებლის „აისი“ პედაგოგების-**ნინო ბურდულისა და მზია გელაშვილის** თექაზე შესრულებული ნამუშევრები, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის პედაგოგის **ლია ნატროშვილის** ხელნაკეთი ნივთები და **შოთა შანშიაშვილის** ხის სათამაშოები. გამოფენა გაგრძელდება ერთი კვირის განმავლობაში.

ქ.დედოფლისწყაროს კულტურის სახლის მიმდებარე მოედანზე მხიარული სტარტებიც გაიმართა, რომლის პარალელურად ბავშვებმა ასფალტზე დახატეს. მხიარულ სტარტებში მონაწილეობა მიიღეს დედოფლისწყაროს N1, მეორე საჯარო და საპატრიარქოს წმ.მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლა-ინტერნატის მოსწავლეებმა. მხიარულ სტარტებში დამაჯერებლად გაიმარჯვა წმ.მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლა-ინტერნატის გუნდმა. თითოეულ მონაწილეს სიგელები და ფასიანი საჩუქრები დედოფლისწყაროს კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრის უფროსმა **მამუკა ყავრელიშვილმა** გადასცა.

შემაჯამებელი სადღესასწაულო კონცერტი კი ქ.დედოფლისწყაროს კულტურის სახლში გაიმართა. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ ქ.დედოფლისწყაროს N1,2,3,4 და სოფლების-ხორნაბუჯისა და სამრეკლოს საბავშვო ბაღის აღსაზრდელები, კულტურის სახლთან არსებული ბავშვთა ხელოვნების სტუდია „ცეროდენა“ და ევროპული და სამეჯლისო ცეკვების სტუდია „ვარსკვლავები“. მონაწილე ბავშვები და საბავშო ბაღები, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებებში აქტიური მონაწილეობისთვის სიგელებით დაჯილდოვდნენ. ბავშვებს, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე მიულოცა მუნიციპალიტეტის მერმა **ნიკოლოზ ჯანიაშვილმა**. მან ბავშვებს ბედნიერი მომავალი, მშვიდობიანი ცა და ლაღი ბავშვობა უსურვა.

აღსანიშნავია, რომ ქ. დედოფლისწყაროში და მუნიციპალიტეტის სოფლებში ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები მთელი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა.

შეგახსნებთ, რომ ბავშვთა საერთაშორისო დღეს მხოლოდ გასართობი ხასიათი როდი აქვს. ეს დღე ახსენებს საზოგადოებას, რომ აუცილებელია ბავშვთა უფლებების დაცვა, რომ ყველა ბავშვი უნდა იზრდებოდეს ჯანსაღ, უსაფრთხო გარემოში, იყოს ბედნიერი, შეეძლოს სრულფასოვანი განათლების მიღება, საყვარელი საქმიანობის არჩევა და მუშაობა, რათა მომავალში თითოეულმა მათგანმა შეძლოს შესანიშნავ მშობლად და თავისი ქვეყნის საამაყო მამულიშვილად ჩამოყალიბება.

ჟუჟუნა ყანჩაშვილი
ხათუნა ბენაშვილი

24-საათიანი წყალმომარაგება მალე რეალობად იქცევა

დედოფლისწყაროს 24-საათიანი წყალმომარაგების პროექტი დასკვნით ეტაპზეა.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერის **ნიკოლოზ ჯანიაშვილის** განცხადებით, „დალის მთის წყალსაცავიდან, ჩვენს მუნიციპალიტეტში წყალმომარაგების გაუმჯობესების მიზნით, წყლის ამოყვანის სამუშაოები დასასრულს უახლოვდება. ექვსი ჭაბურღილის მოწყობა უკვე დამთავრებულია და სწორედ აქედან მოხდება წყლის ამოყვანა დედოფლისწყაროს ცენტრალურ რეზერვუარამდე, რომელიც მოსახლეობის უწყვეტ წყალმომარაგებას უზრუნველყოფს. ამჟამად მიმდინარეობს ჭაბურღილების რეცხვა, რამდენიმე დღეში დაიწყება ცენტრალური მაგისტრალის რეცხვის სამუშაოებიც. როგორც მშენებელი კომპანია გვპირდება, ივლისის ბოლომდე დასრულდება სამუშაოები და წყალი ჩვენამდე, ანუ მომხმარებლამდე მოაღწევს.

მინდა დავამშვიდო მოსახლეობა და ვუთხრა, რომ ივრიდან სასმელი წყლის ამოყვანის პროცესი დასრულების ფაზაშია და ჩვენი დაპირება, რომ დედოფლისწყაროს მოსახლეობა 24-საათიან სასმელ წყალს უწყვეტად მიიღებს, რეალურია. ამაში სულ რაღაც ერთ თვეში ყველა დარწმუნდება“.

საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის წარმომადგენლები ირწმუნებიან, რომ საშვილიშვილო პროექტი, რომელიც უწყლობის ეპოქას წარსულს ჩააბარებს, უკვე რეალობაა. სულ რაღაც ერთ თვეში, მოსახლეობის ონკანებზე უწყვეტად მოსული წყალი მოსახლეობის სკეპტიციზმს საბოლოოდ დაამარცხებს.

აკაკი მშვიდობაძე *(„საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ დირექტორის მოადგილე):* „დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში ამჟამად 6 ინფრასტრუქტურული პროექტი მიმდინარეობს, რომელიც მოიცავს ქალაქ დედოფლისწყაროსა (9 ქუჩა) და მუნიციპალიტეტის 14 სოფელს: არბოშიკი, არხილოსკალო, გამარჯვება, ზემო მაჩხაანი, ზემო ქედი, თავწყარო, მირზაანი, საბათლო, სამთაწყარო, სამრეკლო, ფიროსმანი, ქვემო ქედი, ჭოეთი, ხორნაბუჯი.

აღნიშნული პროექტების დასრულება დაგეგმილია 2023 წლის ბოლოსთვის. სამუშაოების დასრულების შედეგად, 7,500 ზე მეტი ბენეფიციარი, რომელსაც მანამდე არ ჰქონია წვდომა ლიცენზირებულ წყალმომარაგებაზე, ისარგებლებს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი უწყვეტი წყალმომარაგებით, ხოლო 15,000 ზე მეტი ბენეფიციარი ისარგებლებს გაუმჯობესებული წყალმომარაგებით.“

საქართველოში ზეთისხილის პირველი სანერგე იხსნება

„საქართველოში გაიხსნება პირველი სანერგე, რომელსაც ზეთისხილი გამოჰყავს კალმით და დამყნობით. უკვე თამამად შემიძლია გითხრათ, რომ ყოველ წელს ვაწარმოებთ, ნახევარ მილიონ ნერგს, მომავალი 2 წლის განმავლობაში - 1 მილიონს“,– ამის შესახებ ზეთისხილის საერთაშორისო საბჭოს პრეზიდენტმა გიორგი სვანიძემ განაცხადა.

მისი თქმით, საქართველოში გამოყვანილი ნერგი გაცილებით ძლიერი და ადგილობრივ კლიმატზე მორგებული იქნება, ვიდრე იმპორტირებული. მიზანი კი, იმპორტის სრულად ჩანაცვლებაა. საბჭოს ხელმძღვანელის განცხადებით, ახლადგამოყვანილი ნერგები ძირითადად დედოფლისწყაროსა და სიღნაღის ტერიტორიაზე დაირგვება, სადაც ახლა ზეთისხილის ბაღები უკვე წარმატებით ხარობს.

„საქართველოში გაიხსნება პირველი სანერგე, რომელსაც ზეთისხილი გამოჰყავს კალმით და დამყნობით. მე უკვე თამამად შემიძლია გითხრათ, რომ ყოველ წელს ვაწარმოებთ, ნახევარ მილიონ ნერგს, მომავალი 2 წლის განმავლობაში - 1 მილიონს. აღარ დაგვჭირდება საზღვარგარეთიდან იმპორტი ნერგების. თან, ეს ნერგი, საქართველოში გამოყვანილი, გაცილებით ძლიერი, ამ კლიმატს შეჩვეულია. მეტიც, ზოგ ნერგს თავიდანვე ვსტრესავთ, რომ უფრო ძლიერი გაიზარდოს და ნაკლები მორწყვა დასჭირდეს.

მომავალი 5 წლის განმავლობაში რომ ვაწარმოოთ სადღაც 3-4 მლნ ნერგი და შემდგომი 10 წლის განმავლობაში 7-8 მილიონი, დედოფლისწყაროს, სიღნაღის რაიონს, კახეთს ძირითადად, გადავაქცევთ პატარა ანდალუსიად, სადაც დღეს ბევრი ადგილი მოშიშვლებულია, მაგრამ ის ნერგი, რომელზეც ჩვენ დღეს ვმუშაობთ, მოგვცემს საშუალებას, რომ საქართველოში ვაწარმოოთ უმაღლესი ხარისხის ზეთისხილი. შემდგე უკვე, ეს პროდუქცია, მომავალი 5 წლის განმავლობაში, გვაძლევს იმის საშუალებას, რომ ქართული ნატურალური მაღალი ხარისხის ზეითუნის ზეთით ჩავანაცვლოთ ის იმპორტირებული, რომელიც დღეს ნამდვილად არ ვიცით, რომელი ქვეყნიდან შემოდის და რა ხარისხის“,– განაცხადა გიორგი სვანიძემ.

სვანიძე იმავდროულად კომპანია „ქართული ზეთისხილის“ დამფუძნებელია, გასულ წელს დედოფლისწყაროში მან სახელმწიფოსგან სასოფლო მიწები შეიძინა. საუბარია 4 მიწის ნაკვეთზე, ჯამში 491 465 კვ.მ-ზე, რომელიც ქალაქ დედოფლისწყაროში სოფელ გამარჯვებაში და ტარიბანაში მდებარეობს. საპრივატიზებო თანხა 365 600 ლარია. სვანიძე ვარაუდობს, რომ ზეთისხილის ნარგავების ფართობი 700 ჰექტრიდან 1000-მდე ავა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ზეთისხილის წარმოებისა და ექსპორტის დიდი პოტენციალი აქვს. საექსპორტო ბაზრებად მოიაზრება ჰოლანდია, საუდის არაბეთი და ბრაზილია.

სან დიეგოს უნივერსიტეტის წარმომადგენლები დედოფლისწყაროში

ხუთ კომპონენტიანი ინოვაციის, ინკლუზიურობის და ხარისხის პროექტის -საქართველო (12 **Q**) პირველი, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების კომპონენტის ფარგლებში, ქვეყნის მასშტაბით აქტიური სამუშაოები მიმდინარეობს, რაც მიზნად ისახავს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საფეხურის შესაძლებლობების განვითარებას.

აღნიშნული პროექტის წარმატებით განხორციელების საქმეში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ერთად აქტიურად არის ჩართული სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის კვლევის ფონდი და ექსპერტთა გუნდი.

მჭიდრო თანამშრომლობის ფარგლებში სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა კონტრაქტით გათვალისწინებული სამუშაოები დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერს, ნიკოლოზ ჯანიაშვილს და ა(ა)იპ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლის გარეშე სააღმზრდელო ცენტრის დირექტორს ირმა ჯანაშვილს გააცნეს.

აღინიშნა, რომ სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის კვლევის ფონდი, პროექტის მართვის ერთეულთან, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან და მის სტრუქტურულ ერთეულებთან ერთად ოთხი კონკრეტული მიმართულებით იმუშავებს. სამუშაოები 2026 წლის თებერვლის ბოლოს დასრულდება.

სამოქალაქო თანასწორობისა და შერიგების სამინისტრომ საინფორმაციო კამპანია გამართა

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატმა კახეთის რეგიონში ფართომასშტაბიანი საინფორმაციო კამპანია დაიწყო. კამპანია სახელმწიფო მინისტრმა თეა ახვლედიანმა 11 მაისს, ყვარლისა და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფლების მოსახლეობასთან შეხვედრით გახსნა. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში კი შეხვედრები 24 მაისს, სოფლებში საბათლოსა და ხორნაბუჯში ჩატარდა.

კამპანიის ფარგლებში მოსახლეობას შესაძლებლობა ჰქონდა ინფორმაცია მიეღო განათლების, სახელმწიფო ენის შესწავლის, ჯანდაცვის, სოფლის მეურნეობის, სოციალური და ეკონომიკური მიმართულებით არსებული სახელმწიფო პროგრამებისა და სერვისების, ხელისუფლების მიერ დაწესებული მხარდამჭერი აქტივობების, შეღავათებისა და უფასო იურიდიული დახმარების შესახებ.

საზოგადოებრივ ცხოვრებაში არაქართულენოვანი თანამოქალაქეების სრულფასოვანი მონაწილეობისათვის, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა მაქსიმალური ინფორმირება სახელმწიფო სერვისებისა და პროგრამების შესახებ, უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა, რაც ამავდროულად, სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთ პრიორიტეტულ ამოცანას წარმოადგენს.

რეგიონებს სასწრაფო დახმარების ახალი მანქანები გადაეცათ

ჯანდაცვის სამინისტროს საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის ავტოპარკი 23 სპეცმანქანით განახლდა. როგორც სამინისტროდან „შირაქს“ აცნობეს, სასწრაფო დახმარების 23 ახალი ავტომობილი ქვეყნის მასშტაბით, რეგიონებში გადანაწილდება და ავტომობილს დედოფლისწყაროც მიიღებს.

მაღალი გამავლობის, ევროსტანდარტების შესაბამისი ავტომობილები, თანამედროვე სამედიცინო აპარატურითაა აღჭურვილი და რთულ რელიეფზე გადასაადგილებლად არის განკუთვნილი.

დედოფლისწყაროს ცენტრალური პარკის მშენებლობა დაიწყო

დედოფლისწყაროს ცენტრალური პარკის მშენებლობა დაიწყო. ინფრასტრუქტურული სამუშაოები დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა მოადგილესთან, გელა სამუკაშვილთან ერთად დაათვალიერა.

პროექტის ფარგლებში განხორციელდება პარკის სრული რეაბილიტაცია, გაშენდება ახალი რეკრეაციული ზონა, 12 000 კვ მეტრზე გაკეთდება საფეხმავლო და ველო ბილიკები, ასევე 1300 კვ მეტრის ფართობზე აშენდება საბავშვო მოედნები და მოეწყობა გასართობი ატრაქციონები, პარკში გაკეთდება ტბა მოცეკვავე ფანტანებით და მოეწყობა შესაბამისი ინფრასტრუქტურა, მათ შორის, გაკეთდება ახალი საფეხმავლო ხიდი და პირსები (მისადგომები წყლის ტრანსპორტისთვის), სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდება პარკში არსებულ მემორიალს.

დედოფლისწყაროს ცენტრალური პარკის სრული ფართობი 16 675 კვ მეტრია. აღნიშნული მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტი საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის მიერ ინიცირებული პროექტის, ,,განახლებული რეგიონების", ფარგლებში საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ ხორციელდება და მისი ღირებულება 17 000 000 ლარს შეადგენს.

ექსტრემალური მარათონი ვაშლოვანში

ტურიზმის პროფესიონალებისთვის პირველი სათავგადასავლო მარათონი გაიმართა. როგორც „შირაქს" ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციიდან აცნობეს, „სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის" პროექტმა: „მთა-მთა გამყოლთა მარათონი" სტარტი თბილისიდან აიღო და სიღნაღის გავლით ვაშლოვანში გაგრძელდა.

7 დღიანი სათავგადასავლო მარათონი წელს პირველად გაიმართა და მასში 20 სერტიფიცირებული გამყოლი მონაწილეობდა. პროექტი დაფინანსდა საქართველოში აშშ-ის საელჩოს პროფესიული განათლების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში.

სერტიფიცირებული გამყოლისგან შემდგარი 5 გუნდი გაემგზავრა 7-დღიან ექსპედიციაში. თითოეული გუნდი შედგებოდა 2 ქალისა და 2 კაცისგან. გზად მათ გადალახეს გამოწვევები სხვადასხვა სათავგადასავლო დისციპლინებში, მოახდინეს საკვანძო პროფესიული საგამყოლო უნარების დემონსტრირება და წარმოაჩინეს საქართველოს საუკეთესო სათავგადასავლო აქტივობები (საცხენოსნო, ველო, ჯომარდობა, ჯიპ ტური, სკი ტური, ინციდენტზე რეაგირება, სამაშველო ოპერაცია, სხვ.). პროექტის მისიაა სათავგადასავლო ინდუსტრიის სტიმულირება, აქტიური დასვენების და



გამყოლთან მოგზაურობის პოპულარიზაცია, რეგიონში მცხოვრები ახალგაზრდების მოზიდვა და შთაგონება, ისინიც ჩაერთონ საგამყოლო პროფესიაში, რადგან გვჯერა, რომ გამყოლის კარიერას შეუძლია უზრუნველყოს საინტერესო ცხოვრება და ღირსეული ანაზღაურება, რაც გააძლიერებს თაობას, თემსა და რეგიონს," – აღნიშნავენ პროექტის ორგანიზატორები.

მარათონის განრიგი და კონკურსები ასეთი იყო: 4 X 4 კონვოი: თბილისი – სიღნაღი, კონკურსი: საცხენოსნო; მეორე დღე: სიღნაღი - ჭაჭუნას აღკვეთილი, ჯიპ ტური, კონკურსი: ნავიგაცია საგზაო რუკით, კემპი; მესამე დღე: ჭაჭუნა - ვაშლოვანის ნაკრძალი - ფშავი, ჯიპ ტური, კონკურსი: ნავიგაცია GPS, კემპი;

ვაშლოვანის საექსპედიციო ტურის მეორე საკონკურსო დისციპლინის გამარჯვებული გახდა გამყოლთა გუნდი: მახო გიგანი, რუსა ვარშალომიძე, ეკა ცინდელიანი, ლაშა გოლეთიანი.

მეორე ადგილი პირველ ლიგაზე ფრენბურთში

ფრენბურთში დასრულდა 2023 წლის პირველი ლიგის ჩემპიონატი მამაკაცებში. პირველი ადგილი ნიუკასლი; მეორე ადგილი დედოფლისწყარო; ხოლო მესამე ადგილი -გარდაბანი.

ნიკოლოზ ჯინაშვილი ***(გუნდის წევრი):*** „პირველი ლიგა ამით დასრულდა. ფინალში ნიუკასლთან წავაგეთ 3-1 და საქართველოს პირველი ლიგის ჩემპიონატზე მეორე ადგილი მოვიპოვეთ. საკმაოდ ბევრი გამოვიარეთ ფინალამდე მოსასვლელად და ვამაყობ, ამ გუნდში რომ ვთამაშობ. შემდეგი წლისთვის უფრო დიდი შემართებით უკვე A ლიგაში ვიასპარეზებთ და ძალას არ დავიშურებთ პირველი ადგილისთვის. ჩვენმა გუნდმა ჯგუფურ ეტაპზე უმაღლესი ქულები დააგროვა და პირველი ადგილით გადავიდა მეორე ეტაპზე. საკმაოდ ძლიერი გუნდები იყვნენ, მათ შორის მესამე ადგილოსანი გუნდი გარდაბანიც ჩვენს ჯგუფში იყო. დაძაბული თამაშების შემდეგ უკვე მეორე ეტაპზე ჩავატარეთ სამი თამაში, მეოთხედფინალის და ნახევარფინალის თამაშები, საკმაოდ დიდი ანგარიშით მოვიგეთ 3-0. ზუსტად ცნობილი არ არის სამომავლოდ რა იქნება, მაგრამ პირველი ლიგის შედეგებით A და B ლიგები ჩამოყალიბდა და ჩვენ შემდეგ წელს A ლიგაში ვიასპარეზებთ, სადაც პირველი ლიგის 8 საუკეთესო გუნდი იქნება, ხოლო გამარჯვებული დიდი ალბათობით უკვე უმაღლეს ლიგაში გადავა, ეს დეტალები ჯერ დასაზუსტებელია. ჩემი სამომავლო გეგმებით წესით სტუდენტობა ხელს არ შემიშლის, პირიქით გუნდისთვის უკეთესი იქნება, რადგან აბიტურიენტები აქ რაიონში ვიყავით და გუნდის დანარჩენი წევრები თბილისში, ამიტომაც ერთად ვარჯიშს ვერ ვახერხებდით და შემდეგ წელს უკვე ერთად ვივარჯიშებთ და უფრო გავძლიერდებით. შედეგიც უკეთესი გვექნება".

დედოფლისწყაროს პირველობა ფეხბურთში

დედოფლისწყაროს ცენტრალურ სტადიონზე დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი საფეხბურთო პირველობა გაიმართა. ტრადიციულ ჩემპიონატში მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების ვეტერანი და მოყვარული ფეხბურთელები მონაწილეობდნენ. დედოფლისწყაროს თასისთვის ერთმანეთს ქ. დედოფლისწყაროს ორი გუნდი დაუპირისპირდა, ხოლო მესამე ადგილი სოფელ ფიროსმანის გუნდმა დაიკავა. გამარჯვებულები დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა, ასევე მერის მოადგილეებმა, გელა სამუკაშვილმა და მალხაზ მერაბიშვილმა დააჯილდოვეს.

პირველი ადგილის მფლობელ გუნდს „ვარსკვლავები" ადგილობრივი ბიუჯეტიდან 500 ლარი გადაეცა, მეორე ადგილზე გასულ „მახრჩობელას" 300 ლარი, მესამე ადგილოსან გუნდს „ფიროსმანი" კი 200 ლარი. გუნდები ასევე სიგელებით და მედლებით დაჯილდოვდნენ.

გამარჯვებული გუნდის კაპიტანი **ზურაბ პოპიაშვილი** „შირაქს" ეუბნება, რომ ასეთი ჩემპიონატები სოფლებში სპორტის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია.

„თითქმის ყველა სოფელმა გამოიყვანა გუნდები, რომლებიც საგანგებოდ 26 მაისისთვის დაკომპლექტდა და ასაკი შეზღუდული არ იყო. ათზე მეტი გუნდი იბრძოდა პირველობისთვის, საბოლოო ჯამში სამი გამარჯვებული გამოვლინდა და ბედნიერი ვარ, რომ პირველობა ჩემს გუნდს ხვდა წილად. ზოგადად, მივესალმები ასეთი ჩემპიონატების გამართვას და ვისურვებ, რომ დედოფლისწყაროში საფეხბურთო ცხოვრება უფრო აქტიური იყოს. მნიშვნელოვანია სოფლების ჩართულობა, რადგან რაიონულ ცენტრს მოწყვეტილ დასახლებებშიც მოხდეს სპორტისა და ფეხბურთის პოპულარიზაცია და ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობა." – აღნიშნავს პოპიაშვილი.

გიორგი იაკობიშვილი: ***(გუნდი „მახრჩობელას" ფეხბურთელი):*** „შედეგით უკმაყოფილო არ ვართ, მეორე ადგილი ცუდი არ არის. ჩვენი გუნდის ყველა წევრმა ძალიან მოინდომა, შემართებით ვიყავით და შედეგიც ვაჩვენეთ. მოგებული თანხით გუნდის წევრებმა ჩემპიონატში გამარჯვება ვიზეიმეთ და საქართველოს დამოუკიდებლობის დღე აღვნიშნეთ. ფეხბურთი ბავშვობიდან მომწონს, ძალიან პატარა ვიყავი, უკვე ფეხბურთზე რომ დავდიოდი. ფეხბურთი პაპამ შემაყვარა, სულ მაგულიანებდა, ითამაშეო და ინტერესი გამიჩნდა. მომწონს რონალდინიოს სტილი, ძალიან ლამაზ ფეხბურთს თამაშობდა და მანაც შემაყვარა ეს სპორტი. ძალიან მინდა ამ რაიონში ფეხბურთი განვითარებული იყოს, უფრო ხშირად ტარდებოდეს ასეთი აქტივობები. ვფიქრობ, მეტი ყურადღება უნდა მიექცეს სტადიონის განახლებას, მინდვრის საფარს. ჩემი აზრით, დედოფლისწყაროში ფეხბურთის განვითარების პოტენციალი არსებობს, აქ არიან კარგი მწვრთნელებიც და მონდომებული ახალგაზრდებიც. მეტი ხელშეწყობა თუ იქნება, სერიოზული შედეგების ჩვენებაც შეიძლება".

გვერდი მოამზადა

ილია მარტყოფლიშვილმა

შეხვედრა კომპოზიტორ მერაბ მერაბიშვილთან

30 მაისს ქალაქ დედოფლისწყაროს ხელოვნების სკოლის საკონცერტო დარბაზში, კომპოზიტორ მერაბ მერაბიშილთან გაიმართა შეხვედრა. სკოლის მოსწავლეებმა და პედაგოგებმა, ასევე თავად კომპოზიტორმა შეასრულეს ბ-ნ მერაბის ნაწარმოებები.





მოკლე ბიოგრაფია:

მერაბ მერაბიშვილი დაიბადა თბილისში, ხელოვანი მშობლების ოჯახში. როგორც თვითონ შეხვედრაზე აღნიშნა, სწორედ ხელოვანი მშობლების დამსახურებაა მისი მუსიკიდამი დამოკიდებულება და პროფესიული არჩევანი. მოგონებებიდან იხსენებს, რომ მათ სახლში ხშირად იმართებოდა პოეზიის საღამოები, რომლებსაც ასევე ხშირად ესწრებოდნენ ცნობილი კომპოზიტორები. წამყვანების ლალა ჩოფიკაშვილისა და ლუკა ყაჭაშვილის კითხვაზე თუ როგორი ბავშვი იყო, კომპოზიტორმა უპასუხა: „საკმაოდ მორიდებული ბავშვი ვიყავი. ეს თვისება მთელი ცხოვრების მანძილზე გამყვა. თავმდაბლობა მიყვარდა. სკოლაში სიარულისას, თუ სადმე ინსტრუმენტს დავინახავდი, მივუჯდებოდი და ვიწყებდი დაკვრას. ამ დროს 11-12 წლის ვიყავი“.

მერაბ მერაბიშვილმა დაამთავრა თბილისის II მუსიკალური სასწავლებელი (ფორტეპიანო), ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია 1973 წელს (საკომპოზიტორო). 1965 წლიდან იყო თბილისის N7 მუსიკალური სკოლის პედაგოგი (ფორტეპიანო, ანსამბლი); თხზულებები, მიუზიკლები: საბავშვო - „სათაგური“, „პეპლები“, „ნაცარას დღეობა“, „ახალი წელი“, მუსიკა თოჯინების თეატრისთვის (20-მდე), „ვოკალიზი“ სოპრანოსა და სიმფონიური ორკესტრისათვის (პირველი შესრულება, სოლისტი ლ. კალმახელიძე, დირიჟორი ჯ. კახიძე), 3 ვარიაცია ვალტორნისა და სიმფონიური ორკესტრისათვის, პიესები სიმფონიური ორკესტრისათვის; კონცერტები: საფორტეპიანო, კონცერტინო ფლეიტისა და კამერული ორკესტრისათვის; კამერულ-ვოკალური: ვოკალური ციკლი „მთის სიმღერები“; კამერულ-ინსტრუმენტული: ალტის სონატა, საფორტეპიანო „მხიარული ატრაქციონი“ (1995, პირველი შესრულება), საფორტეპიანო პიესები, კვინტეტი, „სოფლის ჩანახატები“ სასულე ინსტრუმენტისთვის, რაფსოდია საყვირისა და ფორტეპიანოსათვის; ანსამბლები: მოსწავლეთათვის (სხვადასხვა ინსტრუმენტებისათვის), გუნდები, საესტრადო სიმღერები, საბავშვო და საყმაწვილო, სოლო და საანსამბლო სიმღერები. მიღებული აქვს მოსკოვის სტუდენტთა კონკურსის II პრემია ვოკალური ციკლისთვის „მთის სიმღერები“.

იგი გახლავთ საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის წევრი. 1999 წელს დაჯილდოვდა ღირსების მედლით ქართული მუსიკალური ხელოვნების განვითარებაში შეტანილი დიდი პირადი წვლილისა და მოსწავლე ახალგაზრდობის აღზრდა - განათლებაში დიდი დამსახურებისათვის.

საღამომ დამსწრე საზოგადოების უდიდესი მოწონება დაიმსახურა, რაზეც მოწმობდა სრულად შევსებული დარბაზის მხურვალე აპლოდისმენტები და ემოციები, როგორც კომპოზიტორისადმი, ასევე გამომსვლელებისადმი გამოხატული. ამ შეხვედრამ და მასში წარმოდგენილმა ბავშვების მიერ შესრულებულმა ნაწარმოებებმა აჩვენა ხელოვნების სკოლის პედაგოგების მუშაობის თვალნათელი შედეგი. მადლობა მათ გაწეული შრომისათვის, რადგან კლასიკური მუსიკა და მასთან ზიარება ბავშვის და ზოგადად ადამიანის განვითარების ერთ-ერთ მთავარ ფაქტორად ითვლება.

ჟუჟუნა ყანჩაშვილი
ხათუნა ბენაშვილი

ბაგრატიონების დამკვიდრება ხორნაბუჯში

ხორნაბუჯის ციხე ჩვენი წარსულის დიდ და საინტერესო ამბებს ინახავს. ის მოზიარე და უტყუარი მემატიანეა საუკუნეების მანძილზე ქიზიყის ცხოვრების, ჭირისა და ლხინისა. ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით: „ყარაღაჯის სამხრით, სადაც დასწყდების ჭერეთის მთა, ანუ ცივი მთა, მუნ არს ხორნაბუჯი“.

კონსტანტინე გამსახურდია თავის წიგნში „დავით აღმაშენებელი“ აღწერს: „არც თუ ეგზომ მაღალი მთის დასავლეთით, სადაც მდებარეობს რაიონული ცენტრი წითელწყარო, წყალმრავალი ტყე იყო. სადავლეთისკენ ტყეს მაღალი ქარაფი ახლდა, ხოლო ორი მხრიდან გაუვალი ჭაობი.

ბეშქან ჯაყელმა და ჯონდი ერისთავმა მხოლოდ მესამე დღეს უწიეს ხორნაბუჯს საიდანაც აღმოსავლეთიდან წამოსული თვალუწვდენი ტრამალი ცხრება, ზუსტად იმ მთის ჭვინტთან, რომელზედაც ხორნაბუჯის ციხე დგას დღესაც“. ეს უძველესი, მეტად საინტერესო ციხის ნანგრევია, ვარძიისა და უფლისციხის მსგავსად, კლდეში ნაკვეთი შენობითა და მღვიმეებით. თვით საგალავნო კედლები და კოშკებიც კი ქვის გოხებშია გამოკვეთილი. ჰერეთისა და ქიზიყის ეს სტრატეგიული კარი ძლიერი სიმაგრე ყოფილა შირვანის გზებიდან მომავალი ურდოების შესაჩერებლად.

ვახტანგ გორგასალმა თავის შვილს, დაჩის საუფლისწულო მამულად მისცა ქალაქი კამბეჩოვანისა, რომელიც არს ხორნაბუჯი“ - (ქართლის ცხოვრება).

არქიტექტურულად საინტერესო ამ ნანგრევების გარშემო ფანტასტიური ლეგენდები ტრიალებდა ხალხში. ციხის ჩრდილოეთ მხარეს კლდეში გამოთლილი ერთი ტერასა საშიშარ უფსკრულს გადაჰყურებს. „ამბობენ, ამ ტერასიდან მოღალატეებს ყრიდნენო“. ეს წესი თითქოს დაცული იყო ერეკლე მეორის (1742-1798 წწ) დრომდე.

ფარსადან გორგიჯანიძე ქართველი მემატიანეა, რომელმაც პირველმა სცადა შეედგინა ჩვენი ქვეყნის ისტორია. „ქართლის ცხოვრება“ - ეს წმინდა და „პატიოსანი წიგნი“, როგორც ძველი ქართველი მწიგნობრები უწოდებდნენ, შედგენილი იქნა სახელმძღვანელოდ და საუკუნეთა განმავლობაში ქართველი ფეოდალური საზოგადოებისთვის ძირითადი საკითხავი წიგნი იყო საქართველოს ისტორიაში. ის მოიცავს როგორც ჩვენი ქვეყნის, ისე მეზობელი ქვეყნების ისტორიას. ქართლში ქრისტიანობის გავრცელებიდან XVII საუკუნის მიწურულამდე.

ფარსადან გორგიჯანიძე გვამცნობს ამბავს, საქართველოში ბაგრატიონთა მოსვლის (დამკვიდრების) შესახებ: ვახტანგ გორგასალის გარდაცვალების შემდეგ დარჩა დარბაზი და სახელმწიფო უმამაცოთ და დედანი და ქალნი და მხლებლენნი თავ-ცემით მტირალნი, უპატრონონი. მოგროვდნენ კარსა ხელმწიფისასა მეფენი, თავადნი ერისთავნი და ხევისბერნი და თემის უფროსნი. ზოგნი ზოგთ მიუვიდნენ, ემსახურებოდნენ, ზოგნი ერთმანეთის ჯავრით არბევდნენ და აოხრებდნენ თემსა. და მეფის კარით შიში და მორიდება აღარავის ქონდა და ცხეთის (მცხეთის) ქალაქსა და სახელმწიფოს სახლსა და სალაროსა და ქვეყანასა და კარის მოხელეებსა დაეპატრონა კაცი საღმრთო საქმის მეცნიერი, ჭკვიაბუ და წმინდათ გაზრდილი, სამართლის მოქმედი, მდიდართა და მდაბალთ შეფერებით პატივისმცემელი, გლახაკთა და ქვრივ-ობოლთა შემბრალებელი-შემნახველი ბატონი კათალიკოზი მანაველ-სამოელ I (474-502 წ). პატრონობდა სახლსა და ქვეყანას სახელმწიფოსა მეფეთა მაგიერათ. ამ კათალიკოსმა მოიწვია კრება და მისი რჩევით „გამოარჩიეს“ ქვეყნის თავად და თავიაანთზედ უფროსად გურამ - ნათესავი დავითიანთა. (ვინ იყო გურამ? შვიდნი ძმანი, ძენი ამის სოლომონისანი) წარმოვიდეს ქვეყნით ფილისტიმით, ტყეეობით წარმოსულნი ჰურიანი და მოიწივნეს ეკლეცს წინაშე რაქაელ დედოფლისა და მისგან ნათელ იღეს. ოთხნი ძმანი მოვიდეს ქართლს, ხოლო ერთი მათგანი, სახელით გურამ განაჩინეს ერისთავად და ესე არს ერისთავი ქართლისა და მამა ბაგრატიონთა და ესე ქართლისა ბაგრატონიანი შვილის შვილნი და ნათესავნი არიან მის გურამისანი (ქ.ც. გვ373. ტ 1). ხოლო გურამის „ორნი ძმანი მისი, სახელით ასამ და ვარაზვარდ წავიდეს კამბეჩანს, მოკლეს მათ სპარსთა სპასალარი და დაიპყრეს კამბეჩანი და დასხდეს იგინი მუნ შვილნი მათნი მთავრობენ მას შინა (ქართლის ცხოვრება ტ I, გვ 373).

ლალი გასილაშვილი,
მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ფონდის მცველი

„უარი უთხრეს ცრემლებს თვალებმა“... – ტარიელ ხარხელაური

ეს უარი თვითონ უთხრა ავტორმა ცრემლებს და იცოდა, საითკენაც მიდიოდა მისი გზა. ამიტომ გაჰყვა შემოდგომის ყვითელ ფოთოლს, რამაც ხალხის გულში მიუჩინა ადგილი, სიყვარულითა და აღიარებით სავსე გულში.

სამი წლის წინ გვინდოდა **ტარიელ ხარხელაურის** მოწვევა ქვემო ქედის სკოლაში, მაგრამ პანდემიამ შეგვაფერხა. მიმდინარე სასწავლო წელს ჰუმანიტარული მეცნიერების კათედრის წევრებმა: ლეილა დარძულმა, მაია კურეტიშვილმა და თავმჯდომარემ გულნარა ტვილდიანმა, მაგდა ყარალაშვილმა და თეა დაღელაშვილმა წლის სამუშაო გეგმაში შევიტანეთ შეხვედრა ტარიელ ხარხელაურთან და აქაც წინაღობა დაგვხვდა, რადგან მის სამასპინძლოდ რიგში ბევრი სკოლა იდგა.

და აი, როგორც იქნა მოვიდა ჩვენი ჯერიც. 24 მაისს, ჩვენი კურსდამთავრებულების ბოლო ზარის დასრულების შემდეგ ქვემო ქედში გვეწვია ყველასთვის საყვარელი სტუმარი, პოეტი ტარიელ ხარხელაური მეუღლესთან ერთად მთელი ხარხელაურების თანხლებით. აქ დახვდნენ ლალი, ნიკოლოზი, თამარი და მათი ახლობლები, ჩვენი მოსწავლეები: ბაჩანა, ლაშა და პატარა თორნიკე ხარხელაურები.

დიდი სიხარული დატრიალდა სკოლაში, ისევ ჰარმონია იგრძნო სკოლის კედლებმა და დამსწრე საზოგადოებამ. ღონისძიება გახსნა სკოლის დირექტორმა ლელა დარძულმა. მისასალმებელი სიტყვით პატივისცემა გამოხატა XI კლასის წარმატებულმა მოსწავლემ სოფიკო ხუციშვილმა და პოეტის საუკეთესო ლექსების სეტყვა წამოვიდა. ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ მოსწავლეები. საღამოს ალამაზებდა მუსიკის მასწავლებელი, ხალხური სიმღერების „ჯადოქარი“ თამარ კობაიძე მოსწავლეებთან ერთად, გიტარისა და ფანდურის თანხლებით.

...და იჯდა ზვიადი მთის შვილი – პოეტი ტარიელ ხარხელაური მაგიდასთან ამაყად და მის ოდნავ სევდიან სახეზე აშკარად უსიტყვოდაც იკითხებოდა მომავალი თაობის დიდი იმედი. იმედი საქართველოს საიმედო მომავლისა, რომელთა გამოც ღირს სიცოცხლე და კიდევ უფრო მეტი ლექსის წერა. პოეტს მხარს უმშვენებდა ჩვენი სკოლის აღზრდილი ახალგაზრდა პოეტი ნოშრევან ჭინჭარაული.

დასასრულს ჩვენი საყვარელი პოეტი ფეხზე წამოდგა და ისე წაგვიკითხა ლექსები, რომლებიც პირდაპირ გულისკენ იკვლევდნენ გზას და სამუდამოდ იქ დარჩებიან. დავღალეთ სტუმარი, მაგრამ იხუვლა ბავშვთა ნაკადმა და სამახსოვრო ავტოგრაფის მისაღებად რიგში ჩადგნენ. ღონისძიებას ესწრებოდნენ სტუმრები დედოფლისწყაროდან, საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი მაკა ჯანაშვილი, თეა ლეკაშვილი და სხვები.

გულნარა ტვილდიანი,
ქვემო ქედის სკოლის მასწავლებელი.

მედალოსანი მოსწავლეების დაჯილდოვება კახეთში

თელავში, ერეკლე მეფის სასახლის ეზოში, კახეთის სახელმწიფო რწმუნებულმა, გიორგი ალადაშვილმა რეგიონის რვავე მუნიციპალიტეტის ოქროსმედალოსანი და ვერცხლისმედალოსანი ახალგაზრდები სკოლის წარჩინებით დამთავრებისათვის დააჯილდოვა. კახეთის წარმატებული ახალგაზრდების დაჯილდოების ცერემონიაში მონაწილეობა მიიღეს და ახალგაზრდებს სიტყვით მიმართეს აბბა ალავერდელმა მიტროპოლიტმა დავითმა, ბოდბელმა მთავარეპისკოპოსმა იაკობმა, ჰუმანური პედაგოგიკის ფუძემდებელმა -შალვა ამონაშვილმა, პარლამენტის წევრებმა - ირაკლი ქადაგიშვილმა, დავით სონღულაშვილმა და მუნიციპალიტეტების მერებმა.



წელს დედოფლისწყაროს მასშტაბით სკოლა 222-მა მოსწავლემ დაამთავრა. გუბერნატორის ინიციატივით და მუნიციპალიტეტების მხარდაჭერით, წახალისების მიზნით, კახეთის თითოეულ მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ოქროსმედალოსან და ვერცხლისმედალოსან ახალგაზრდებს ყოველწლიურად, ერთჯერადი ფულადი ჯილდო გადაეცემათ.

დაჯილდოების ცერემონია კახეთის სახელმწიფო რწმუნებულის, გიორგი ალადაშვილის ინიციატივით, გასულ წელს პირველად გაიმართა და ტრადიციულ ხასიათს ატარებს. გასულ წელს, რეგიონის მასშტაბით 448 წარჩინებული მოსწავლე დაჯილდოვდა. 2023 წელს, წარჩინებულ მოსწავლეთა რიცხვი გასულ წელთან შედარებით გაიზარდა და მიმდინარე წელს, 500-მდე წარჩინებული მოსწავლე მიიღებს ჯილდოს.

დაჯილდოების რეგიონული მასშტაბის ღონისძიების მიზანს ახალგაზრდა თაობისთვის სწავლისადმი მოტივაციისა და სტიმულის ამაღლება, განათლებული ახალგზარდა თაობის მიერ მიღწეული წარმატებული შედეგების პოპულარიზაცია წარმოადგენს.

ნიკოლოზ ჯანიაშვილი: „მინდა მადლობით დავიწყო, კახეთის გუბერნატორის მისამართით, რომელმაც ასეთ ლამაზ ტრადიციას ჩაუყარა საფუძველი და საშუალება გვაქვს მთელი კახეთის წარჩინებულ მოსწავლეებს, ჩვენს მომავალ თაობას, ერთად თავმოყრილს შევხვდეთ და გავულამაზოთ ერთი დღე, მივულოცოთ სკოლის დამთავრება და ცხოვრების ახალ ეტაპზე გადასვლა. დამოუკიდებელი ცხოვრების დაწყება და გადაწყვეტილებების მიღების თავისუფლება ძალიან მნიშვნელოვანია. მიხარია, რომ უკვე მეორედ ვმასპინძლობთ მათ და შეგვიძლია დავინახოთ რამდენად ნიჭიერი და წარმატებული თაობა გვყავს. მადლობა თითოეულ პედაგოგსა და მშობელს, რომელმაც 12 წლის განმავლობაში ძალა, ენერგია და შემართება არ დაიშურა, რომ აქამდე მოსულიყავით. ჩემო მეგობრებო, დღეს ნამდვილად ლამაზი დღეა, ისტორიულ ადგილზე ვიმყოფებოთ. ყველაზე სახალხო მეფის, ერეკლე მეორის სასახლეში ვიმყოფებით, აქ ყოფნა კი გარკვეულ ვალდებულებებს გვმატებს. ერეკლე მეფის პერიოდში ჩვენი წინაპარი ძალიან ბევრს შრომობდა და იბრძოდა, რომ თავისუფლება მოეტანა. თუ მაშინ წარმატება უშუალო ბრძოლასა და მოხერხებაში გამოიხატებოდა, დღეს ყველაფერი შეიცვალა და ჩვენს ქვეყანას გონებითა და გულით უნდა გამოვადგეთ. ცოდნა ყველაზე ბასრი იარაღია, ამიტომ კარგი განათლებით შეგვიძლია არა მხოლოდ საქართველოს მასშტაბით, არამედ მსოფლიო ასპარეზზე ვიყოთ წარმატებულნი. როგორც მეუფე დავითმაც აღნიშნა, მხოლოდ ცოდნით შორს ვერ წავალთ, თუ ამას გულით არ ვაკეთებთ და თუ არ გვახსოვს, ვისი გორისანი ვართ, საიდან მოვდივართ. უნდა გავიაზროთ, რამ მოგვიყვანა აქამდე... ეკლესია, სამშობლო, ერთგულება, პატრიოტიზმი, მამულიშვილობა, ყველაფერი ერთად აღებული იყო ჩვენი გადარჩენის რეცეპტი და ასეც იქნება. თუ გავითვალისწინებთ, რა გმირული წარსული და დიდი ისტორია გვაქვს, მცირერიცხოვანი, მაგრამ საოცრად ამაყი ერი ვართ, ამ ყველაფერს თუ დავუმატებთ ჩვენს შესაძლებლობებს და გონებას დავუმატებთ, არაჩვეულებრივ შედეგს მივიღებთ. მინდა მოგილოცოთ ეს დღე, უამრავი წარმატება მინდა გისურვოთ ცხოვრების გზაზე“.

აკაკი ყოჩიაშვილი *(ოქროს მედალოსანი სამრეკლოდან)*: „უპირველესყოვლისა მინდა საქართველოს 2023 წლის ყველა სკოლის კურსდამთავრებულს, განსაკუთრებით მედალოსნებს. ჩემთვის ეს მედალი ნიშნავს თორმეტწლიანი დაუღალავი, რუტინული შრომის დაფასებას, აგრეთვე უდიდეს პასუხისმგებლობას ჩემი სკოლისა და ქვეყნის წინაშე. სტიმულია, არამხოლოდ ჩემთვის, არამედ მომავალი თაობებისთვის, რათა უკეთ გააცნობიერონ, რომ შრომისმოყვარეობა და მიზნის მიღწევისთვის დაღვრილი ოფლი უქმად არ ჩაივლის. მედალი მოტივაციაა ჩემთვის, რომ ვიყო უფრო უკეთესი. გული სიამაყით მქონდა სავსე, როდესაც გვერდით ვედექი უნიჭიერეს ახალგაზრდებს, რომელთაც თავი მოეყარათ ცერემონიაზე, რომელიც ჩატარდა თელავში, ერეკლე მეფის სასახლეში. ჩემს საქართველოს ვუსურვებ მშვიდობას, წინსვლას და უამრავ წარჩინებულ ახალგაზრდას. მინდა მადლობა გადავუხადო ჩემი სკოლის პედაგოგიურ კოლექტივს“.

ეკატერინე მეხრიშვილი *(ქ. დედოფლისწყაროს №2 სკოლის ოქროს მედალოსანი)*: „ეს დღე არასოდეს დამავიწყდება თავისი ხიბლითა და უსაზღვრო ემოციებით. ვფიქრობ, მედალი არის ჩემი ცოდნისა და თორმეტწლიანი დაუღალავი შრომის ხაზგასმა. ნამდვილად სასიხარულოა, როდესაც სახელმწიფო გიფასებს ამდენი ხნის ნაშრომსა და ენერგიას არ იშურებს იმისათვის, რომ დღე, რომელიც შენს ცხოვრებაში ერთადერთხელ დგება, კიდევ უფრო ლამაზი, დასამახსოვრებელი და ემოციებით სავსე იყოს. ამით ისინი უფრო მეტ მოტივაციას აძლევენ ახალ თაობას, რომ იყვნენ მიზანდასახულები და სკოლის 12 წელი ბოლომდე გამოიყენონ განათლების მისაღებადა და საკუთარი თავის განსავითარებლად“.

გიორგი ცაბაურაშვილი *(ქვემო ქედის სკოლის ოქროს მედალოსანი)*: „მედალი ჩემთვის ძალიან ბევრს ნიშნავს...ბედნიერებაა, როდესაც განათლების სამინისტრო წარმატებულ სწავლას შესაბამისად აფასებს და მედლით გვაჯილდოვებს. ცერემონიაც ძალიან მომეწონა, როგორც ვიცი, ასეთი ღონისძიება მხოლოდ კახეთის მასშტაბით ტარდება და დიდი მადლობა მინდა გადავუხადო გუბერნატორს, გიორგი ალადაშვილს, რომელმაც ასეთი შესანიშნავი იდეა სისრულეში მოიყვანა. ყველაფერი ძალიან საინტერესო და კარგად ორგანიზებული იყო, ამ შეხვედრის წყალობით საშუალება მომეცა შემეძინა უამრავი ახალი მეგობარი და, რა თქმა უნდა, მომეცა უფრო მეტი მოტივაცია, რათა კვლავ წარმატებით გავაგრძელო სტუდენტური ცხოვრება“...

ოქროს მედალოსნები:

1) ქეთევან გივიშვილი – დ/წყაროს №1 სკოლა
2) ნინო გურაშვილი – დ/წყაროს №1 სკოლა
3) ანა ნასრაშვილი – დ/წყაროს №1 სკოლა
4) სალომე ნასრაშვილი – დ/წყაროს №1 სკოლა
5) ნიკოლოზ სამუკაშვილი – დ/წყაროს №1 სკოლა
6) ნიკოლოზ სიჭინავა – დ/წყაროს №1 სკოლა
7) ნიკა ზურაშვილი – დ/წყაროს №1 სკოლა
8) ლუკა თავაძე – დ/წყაროს №1 სკოლა
9) ნიკა კვანჭილაშვილი – დ/წყაროს №1 სკოლა
10) გურანდა ღვედაშვილი – დ/წყაროს №1 სკოლა
11) ლიკა მაჩაბლიშვილი – დ/წყაროს №1 სკოლა
12) ნიკა მაჩაბლიშვილი – დ/წყაროს №1 სკოლა
13) თეკლა ჯიბღაშვილი – დ/წყაროს №1 სკოლა
14) ეკატერინე მეხრიშვილი – დ/წყაროს №2 სკოლა
15) ნიკოლოზ კოხტაშვილი – დ/წყაროს №2 სკოლა
16) ნიკოლოზ ყოჩიაშვილი – სამრეკლოს სკოლა
17) აკაკი ყოჩიაშვილი – სამრეკლოს სკოლა
18) ლაშა ლეკაშვილი – სამრეკლოს სკოლა
19) ბარბარე ბაშარული – ზემო ქედის №2 სკოლა
20) ნიკა აფციაური – ზემო ქედის №2 სკოლა
21) ვალერი ვარდიშვილი – ზემო ქედის №2 სკოლა
22) ანა ნაროზაული – ზემო ქედის №2 სკოლა
23) ნინო ლობჯანიძე – ზემო მაჩხაანის სკოლა
24) ფრიდონ იაკობიშვილი – ზემო მაჩხაანის სკოლა
25) ლიზი თეთრაული – ქვემო ქედის სკოლა
26) გიორგი ცაბაურაშვილი – ქვემო ქედის სკოლა
27) გვანცა მაზიაშვილი – ზემო ქედის №1 სკოლა
28) ნინო ქავთარაძე – არხილოსკალოს სკოლა
29) ტატო ბენაშვილი – ეპარქიის სკოლა

ვერცხლის მედალოსნები:

1) ნინო სარდალაშვილი – ეპარქიის სკოლა
2) ლია ტოკლიკიშვილი – ეპარქიის სკოლა
3) საბა წიკლაური – დ/წყაროს №2 სკოლა
4) ბარბარე ცისკარაული – დ/წყაროს №2 სკოლა
5) ეთერ ცხვედიაშვილი – არბოშიკის სკოლა
6) დავით ხიზანიშვილი – არბოშიკის სკოლა
7) თამუნა ნანობაშვილი – არბოშიკის სკოლა
8) გვანცა ყავრელიშვილი – დ/წყაროს №1 სკოლა;

ტრადიციულად გაიმართა ქუდების აყრის ცერემონია და ახალგაზრდების დაჯილდოების გრანდიოზული ღონისძიება „გუფი ლენდი“-ს კონცერტით დასრულდა. დაჯილდოების ღონისძიებას საგანმანათლებლო რესურს-ცენტრების ხელმძღვანელები და მუნიციპალიტეტების საკრებულოების თავმჯდომარეები ესწრებოდნენ. ღონისძიების მხარდამჭერია - დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია **(DMO)** „ვიზიტ კახეთი“.

ილია მარტყოფლიშვილი

საინიციატივო ჯგუფი „არბოშიკი“ სტუმრად რედაქციაში

გაეროს ერთობლივი პროგრამის „გენდერული თანასწორობისთვის საქართველოში“ დაფინანსებით მიმდინარე პროექტის „ქალთა გაძლიერება ცვლილებისათვის“ და ფონდი „პური მსოფლიოსთვის“ პროგრამის ფარგლებში, ქალთა და ახალგაზრდობის ცენტრ „არბოშიკის“ ახალგაზრდულმა საინიციატივო ჯგუფი და მოხალისეები 31 მაისს გაზეთ „შირაქის“ რედაქციას ესტუმრნენ.

საინიციატივო ჯგუფის წევრებმა და მოხალისეებმა მოინახულეს გაზეთ „შირაქის“ კომპიუტერული ბაზა, გაეცნენ გაზეთის მუშაობის პრინციპებს, სტრუქტურას, სპეციფიკას, მასალის მოძიებისა და დამუშავების ტექნიკებს. გარდა ამისა, მათ გაზეთის 85 წლიანი ისტორიის ამსახველი არქივიც ნახეს და შეადარეს უკვე დღეს არსებულ გაზეთს. შეხვედრა კითხვა პასუხის რეჟიმში წარიმართა. კითხვებს პასუხობდნენ გაზეთ „შირაქის“ რედაქტორი ილია მარტყოფლიშვილი, ჟურნალისტი და გაზეთის დამკაბადონებელი (ტექნიკური მხარე) ჟუჟუნა ყანჩაშვილი და კორექტორი ხათუნა ბენაშვილი. ბავშვები დაინტერესდნენ არამარტო მუშაობის პროცესით, არამედ ფოტომასალის მოძიების, მათი დამუშავების, რესპოდენტებთან ურთიერთობის სპეციფიკითაც. ზოგიერთმა მოხალისემ მომავლის პროფესიადაც კი დაასახელა ჟურნალისტიკა და ჟურნალისტობა.

შეგახსენებთ, რომ არბოშიკის ქალთა და ახალგაზრდული ჯგუფი „არბოშიკი“ შეიქმნა 2016 წელს. ჯგუფის მისიაა თემში ქალების, ახალგაზრდების განათლების დონის ამაღლება, მათი ეკონომიკური და სამოქალაქო გააქტიურება და მათი ჩართულობით თემის გაძლიერება. ჯგუფის მუშაობის ძირითადი მიმართულებები:

1.საგანმანათლებლო-შემეცნებითი საქმიანობა;

2. ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშეწყობა;

3. ქალთა გაძლიერება- გააქტიურება;

4. ეკოლოგია და გარემოს დაცვა;

5. თვითმმართველობასთან ურთიერთობები.

ჯგუფის შეხვედრებზე დასწრება თავისუფალია. არბოშიკის ახალგაზრდული საინიციატივო ჯგუფი მომავალშიც გააგრძელებს საგანმანათლებლო-შემეცნებითი შეხვედრების ჩატარებას და მოსწავლე-ახალგაზრდების ინფორმირებულობას უკეთესი, ძლიერი და განათლებული თემისთვის.

ძილი და მავნე ჩვევები

ღამით ძილი ბევრმა რამემ შეიძლება დაგიფრთხოთ, იქნება ეს ხმაური, სინათლე თუ სხვა. გამოუძინებლობა ადამიანის ორგანიზმზე უარყოფით გავლენას ახდენს. მაგალითად, იცვლება სისხლში შაქრის დონე, მეტაბოლიზმი და იმუნური სისტემის ფუნქციონირება. ასევე, ქვეითდება კოგნიტიური უნარები.

რა თქმა უნდა, ძნელია, ძილი ყოველდღიურად სრულყოფილი იყოს, რადგან ხელისშემშლელი ფაქტორების რაოდენობა ძალიან დიდია. ამის მიუხედავად, თქვენი ჯანმრთელობისთვის აუცილებელია იცოდეთ, როგორ უნდა აინაზღაუროთ მისი დანაკლისი, რა უნდა გააკეთოთ და რისგან შეიკავოთ თავი.

თუ ყოველდღე ტელევიზორის წინ იძინებთ, გაუცნობიერებლად ჯანმრთელობას ზიანს აყენებთ. ეს ერთ-ერთი მავნე ჩვევაა, რომელიც ძილის ხარისხს და ჯანმრთელობას მნიშვნელოვნად აუარესებს. გახსოვდეთ, ძილი ჩვენი ჯანმრთელობის საფუძველია, ხოლო რაც უფრო ცუდად გძინავთ, მით უფრო ცუდ მდგომარეობაშია ორგანიზმი.

ტელევიზორის წინ დაძინება საკმაოდ გავრცელებული ჩვევაა. ეროვნული ფონდის მონაცემების თანახმად, მოსახლეობის დაახლოებით 60% ტელევიზორს უყურებს, სანამ დაიძინებს.



რა მავნე შედეგები აქვს ტელევიზორის წინ დაძინების ჩვევას?

1. ძილს ხელს უშლის

მელატონინი, ძილის ჰორმონი, ტვინში სიბნელის დადგომიდან 3-4 საათში გამოიყოფა, ანუ მაშინ, როცა ცისფერი და მწვანე ფერი გაქრება. ბუნებაში ეს მზის ჩასვლისას ხდება.

თავისი არსით, ტვინის მასტიმულირებლებს თავი უნდა აარიდოთ, თუ დაძინება გსურთ. ორგანიზმს ხარისხიანი ძილი სჭირდება, რომ ინფორმაცია გადაამუშაოს, ზედმეტი დეტალები მოიშოროს და ნამდვილად საჭირო ინფორმაცია შეაგროვოს.

ტელევიზორის ცისფერი სინათლე ტვინს მხნეობის სიგნალს აძლევს და ღრმა ძილს ხელს უშლის.

2. ძილის ხარისხი მნიშვნელოვნად მცირდება

როგორც უკვე ითქვა, ელექტრონული მოწყობილობის ცისფერი სინათლის ზემოქმედება დაძინებას ხელს უშლის. მელატონინის წარმოების შემცირება და ძილის გადადება ძილის ხარისხს აუარესებს.

ციმციმა ეკრანის და გადაცემის ან სერიალის მასტიმულირებელი შინაარსის გამო, ძილის ზედაპირულ სტადიაზე უფრო დიდხანს ყოვნდებით და აღდგენის ეტაპს ტოვებთ. არადა ღრმა ძილის დროს მნიშვნელოვანი პროცესები ხდება, როგორიცაა მეხსიერების გაძლიერება და კუნთების აღდგენა.

3. მშფოთვარე შინაარსმა შეიძლება ძილის პრობლემები და კოშმარები გამოიწვიოს

სატელევიზიო შოუების და სერიალების ხანგრძლივი დროით ყურება ცუდი ხარისხის ძილს და ძილთან დაკავშირებულ პრობლემებს იწვევს, რადგან ფსიქიკა აგზნებულია. ღამით მისი აქტივობა ძალიან მაღალი ხდება.

არსებობს მტკიცებულება, რომ ტელევიზორი სიზმრების შინაარსზე გავლენას ახდენს.

ადამიანები, რომლებიც ძალადობის შემცველ გადაცემებს ან ახალ ამბებს უყურებენ, უფრო ხშირად ხედავენ საშიშ და კოშმარულ სიზმრებს.

განსაკუთრებით ეს ბავშვებზე აისახება. ბავშვებს, რომლებმაც საღამოს ტელევიზორს უყურებდნენ, დაძინება უფრო უჭირდათ, კოშმარულ სიზმრებს უფრო ხშირად ხედავდნენ და დღისით დაღლილობა აწუხებდათ.

4. ჭარბ წონას იწვევს

ტელევიზორის სინათლე და ფანჯრიდან შემოსული შუქი არა მხოლოდ ძილს არღვევს, არამედ ქალებში ჭარბი წონის და სიმსუქნის რისკს ზრდის.

ჟურნალ JAMA Internal Medicine-ში გამოქვეყნებულმა კვლევამ აჩვენა, რომ ქალები, რომლებიც ღამით სინათლის ზემოქმედებას განიცდიდნენ, უფრო ხშირად იმატებდნენ წონაში მომდევნო 6 წლის განმავლობაში.

ქალები, რომლებსაც ჩართული ტელევიზორის წინ ან განათებულ ოთახში ეძინათ, 17%-ით უფრო ხშირად იმატებდნენ წონაში, ვიდრე სხვები. სულ მცირე 5 კგ-თი.



ცხოველებზე ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ ღამით სინათლის ზემოქმედებამ შეიძლება ცირკადული რიტმები დაარღვიოს, კვების ქცევა შეცვალოს და წონის მატება გამოიწვიოს.

5. ბავშვებში ძილს ამცირებს

ბავშვები სატელევიზიო გადაცემების შინაარსის მიმართ უფრო მგრძნობიარეები არიან. მათ შეიძლება ისეთი საკითხები აწუხებდეთ, რაც უფროსებს არ ანერვიულებთ.

ძილის წინ ტელევიზორის ყურებამ ბავშვებში შეიძლება გამოიწვიოს ისეთი დარღვევები, როგორიცაა კოშმარები და მთვარეულობა.

მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ღამით ტელევიზორის ყურება და მისი შინაარსი, არამედ ის, თუ რამდენ ხანს უყურებს ბავშვი ტელევიზორს და სძინავს თუ არა იმ ოთახში, სადაც ტელევიზორია.

2 წლამდე ასაკის ბავშვებზე ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, ეკრანთან გატარებული დრო ძილის ხანგრძლივობაზე გავლენას ახდენს. ტელევიზორთან გატარებული ყოველი საათი 16 წუთით ნაკლებ წუთს ნიშნავს.

აშშ-ში ჩატარებულმა მკვლევარებმა 4-დან 7 წლამდე 1400 ბავშვის ძილის ჩვევებს თვალყური ადევნეს და დაადგინეს, რომ ტელევიზორი საძინებელში ძილის დროს საშუალოდ 38 წუთით ამცირებს.

რა უნდა გააკეთოთ,თუ ტელევიზორის წინ ძილი გიყვართ?

თუ ჩართული ტელევიზორის წინ ძილს მიჩვეული ხართ და ასე თავს დასვენებულად გრძნობთ, ვერავინ დაგაძალებთ. თუმცა, თუ გრძნობთ, რომ ასეთი ჩვევა ძილს აუარესებს, ძილის ჰიგიენა დაიცავით.

1. ბნელ და წყნარ ოთახში ერთსა და იმავე დროს დაიძინეთ.

2. თუ ტელევიზორზე უარს ვერ ამბობთ, ხმას დაუწიეთ და ტაიმერი დააყენეთ, რომ ცისფერი სინათლის და ხმაურის ხანგრძლივ ზემოქმედებას თავი აარიდოთ.

3. ღამით უფრო მეტ თეთრ ხმაურს, მედიტაციას და დამამშვიდებელ მუსიკას მოუსმინეთ.

P.S. ძილის დარღვევის მიზეზი ბევრრამ შეიძლება იყოს, მათ შორის გადაღლა და მძიმე (ძნელად მოსანელებელი) ვახშამი. თურმე, ლოგინის თეთრეული ასევე დიდ გავლენას ახდენს ძილის პროცესზე. ჩატარდა კვლევა, რომლითაც გაირკვა, რომ ბევრად უკეთ სძინავთ იმ ადამიანებს, რომელთა საძინებელიც სუფთა და კეთილმოწყობილია, ლოგინის თეთრეული კი თეთრი ფერის. გამოკითხვაში მონაწილეობდა 25-55 წლის ასაკის 1500 მოხალისე. ძილის ხარისხზე მოქმედი ფიზიკური ფაქტორებიდან გამოიკვეთა არაკომფორტული „მატრასი“ და ლოგინის უხეში თეთრეული, ოთახის მაღალი ტემპერატურა, კაშკაშა სინათლე, სუნი და ხმაური. სრულიად მოულოდნელი აღმოჩნდა მკვლევართათვის ის, რომ ღამის ძილზე დიდ გავლენას ახდენს ლოგინის თეთრეულის ფერიც. მათ გასაკვირად რბილმა ბალიშებმა და არომატულმა სანთლებმა ვერ გადაჭრეს ძილის დარღვევათა პრობლემა, სამაგიეროდ, ლოგინის თეთრეულის ფერის შეცვლამ ბევრს მოუტანა შვება უკეთ დასვენების თვალსაზრისით.

როგორც ფსიქოლოგები აღნიშნავენ, თეთრი ფერი სისუფთავესა და სიმშვიდესთან ასოცირდება, უკეთ მოდუნებისა და განტვირთვის საშუალებას აძლევს ადამიანს, შესაბამისად, თეთრი ფერის თეთრეულში უკეთ გვძინავს. სხვადასხვა ჭრელი, „მხიარული“ ფერები და ორნამენტები კი აღაგზნებს ფსიქიკას და ძაბავს.

არანაკლებ დიდი მნიშვნელობა აქვს ლოგინის თეთრეულის ხარისხსაც, ის ნაზი და სხეულთან შეხებაში სასიამოვნო უნდა იყოს, უხეში, სრიალა და ცხელი (ჩამხუთავი) ქსოვილები აუცილებლად დისკომფორტს შეგიქმნით და ძილის ხარისხზეც აისახება!

მოამზადა
ხათუნა გენაშვილმა

ბავშვის ემოციური სამყარო და გრძნობები

ადამიანის მოთხოვნილებები ორი ძირითადი ფორმით გამოიხატება: ობიექტურად , ქცევის გარეგანი ფორმებით და სუბიექტურად, ადამიანის შინაგანი განცდებით, ესე იგი - ემოციებით და გრძნობებით, ემოციები ის სიგნალებია, რომელთა საშუალებითაც ადამიანი განსაზღვრავს საკუთარ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება-დაუკმაყოფილებლობის ხარისხს. თითოეული ჩვენგანისთვის კარგად არის ნაცნობი საკუთარი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების შედეგად ჩვენს ცნობიერებაში აღმოცენებული დადებითი ემოციები-კმაყოფილება, სიხარული, აღფრთოვანება და სტრესის შედეგად გაჩენილი წყენა, მრისხანება, სიფიცხე.

მოზრდილი ადამიანისაგან განსხვავებით ბავშვები უფრო მეტად არიან დამოკიდებულნი საკუთარ მოთხოვნილებებზე და უჭირთ საკუთარი სურვილების დაკმაყოფილების პროცესის შეგნებული გადავადება. ეს ბავშვთა განსაკუთრებული ემოციურობის ერთ-ერთი მთავარი საფუძველია. ბავშვები ხშირად და უშუალო ფორმებით გამოხატავენ ემოციებს ინტონაციის, მიმიკის ან ჟესტების საშუალებით. მათი არასაკმარისი თავშეკავებულობა ძირითადად ორი მიზეზით არის ხოლმე გამოწვეული: ნებელობითი მექანიზმების სისუსტით და საზოგადოებრივად მისაღებ ნორმატიულ ქცევებზე ჯერ კიდევ სუსტი ორიენტირებით. ბავშვის ემოციური სამყაროს ცოდნა მშობლებსა და აღმზრდელებს მისი პიროვნული ბუნების სრულყოფისა და განახლების საშუალებას აძლევს, რაც თავისთავად ადამანური ბედნიერების განცდის ერთ-ერთი უმთავრესი განმსაზღვრელი ფაქტორია. მაგრამ ისიც საყურადღებოა, რომ საკუთარ ემოციურ გამოვლინებებში ბავშვი რამდენედაც მომხიბლავია, იმდენად ეგოცენტრულიც არის. ხსენებული პოლარობის გათვალისწინების გარეშე რთულია, ბავშვში მოვახერხოთ საზოგადოებისათვის მისაღები ქცევის სტილის ფორმირება. აქ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სწორედ საოჯახო აღზრდის როლი, რადგან ნებისმიერი პიროვნებისათვის დამახასიათებელ საერთო ემოციურ სტილს სწორედ ადრეულ ასაკში ჩაეყრება საფუძველი. საბავშვო ბაღის აღსაზრდელი თანატოლებთან ურთიერთობაში ემოციურ გამოვლინებათა იმ რეპერტუარს იყენებს, რომელიც მას ოჯახური ურთიერთობის პროცესში ჩამოუყალიბდა.

გრძნობა ემოციების ისეთ ტიპს მიეკუთვნება, რომელსაც ახასიათებს სიმყარე, ხანგრძლივობა და მკაფიოდ გამოკვეთილი მიზნობრივობა. თუ ბავშვი თანატოლთან ან მოზრდილთან პირველი შეხვედრისას რაიმე მკვეთრი სახით გამოხატულ უარყოფით ემოციას განიცდის, მეორე შეხვედრისას შეიძლება მისი დამოკიდებულება ამ ადამიანისადმი ზიზღის გრძნობად ჩამოყალიბდეს. ბავშვის აღზრდის პროცესში პრინციპულად გასათვალისწინებელია, რომ ადამიანებისათვის დამახასიათებელ პიროვნულ ღირებულებათა უდიდესი და მყარი ნაწილი სწორედ ბავშობაში ფორმირებული ემოციური დამოკიდებულებებისა და გრძნობითი განცდების საფუძველზეა აღმოცენებული.

ნებისმიერი ადამიანისათვის სრულიად ბუნებრივია გრძნობითი განცდების მოთხოვნილება, რადგან თითოეული ჩვენგანის შინაგანი ფსიქიკური ცხოვრების მთელი სისტემა დადებითი გრძნობების იმპულსებით შემაგრებასა და განმტკიცებას მოითხოვს. დაკვირვებულ მშობელს ან აღმზრდელს თავისუფლად შეუძლია ბავშვს შეამჩნიოს როგორც დაბალი (ეგოისტური) ისე ამაღლებული გრძნობები. ბავშვის აგრესიულობის ზოგიერთი ნიშანი მის ინსტინქტოიდურ ქცევებშიც შეიძლება შევნიშნოთ, მათთვის ხშირად დამახასითებელია ვნების ერთი მკაფიო გამოვლინებაც-თავნებობა, რაც ყველაზე ხშირად გამოხატულია რაიმე საგნის დაუფლების ძლიერი სურვილით, ან უკვე მოპოვებულის დაკარგვის საშიშროებით გამოწვეული ეჭვიანობის განცდით.

რაც შეხება ამაღლებულ გრძნობებს: ბავშვისათვის დამახასიათებელი მშობლების სიყვარული ყველაზე მტკიცე და ხანგრძლივია ბავშვის გრძნობებს შორის და იგი ყალიბდება მშობლებისაგან მომდინარე, სიყვარულზე აღმოცენებული ბავშვის რეაქციის საფუძველზე. საერთოდ, ბავშვისათვის დამახასითებელი ნებისმიერი ამაღლებული გრძნობა თავის არსებობაში ყოველთვის გულისხმობს ბავშური აღფრთოვანების, თავდავიწყებისა და თავშეწირვის ელემენტებს: ბავშვის აღფრთოვანების ობიექტი (ნივთი, ადამიანი) მის ცნობიერებასა და ცხოვრებაში ესთეტიკური ან ეთიკური იდეალის მნიშვნელობას იძენს. ეს განცდა განსაკუთრებით ძლიერ გავლენას ახდენს ბავშვზე და შესაძლოა ზოგიერთმა მათგანმა ძალზე მტკივნეულად განიცადოს, რომ მისი იდეალი სხვებისთვისაც ასეთივე სათაყვანებელი არ არის. თუ კარგად ჩავუკვირდებით, შევნიშნავთ, რომ ასეთ დროს ბავშვს არა მარტო თაყვანისცემის ობიექტი, არამედ საკუთარი ამაღლებული განცდის გამოვლენაც აღაფრთოვანებს, ამიტომ სასურველია, მშობლებმა და აღმზრდელებმა შეძლებისდაგვარად წაახალისონ და გაგებით შეხვდნენ ბავშვის სულიერ მდგომარეობას, მოერიდონ მისი ფაქიზი გრძნობების დაცინვას.

ბავშვის გრძნობები თავდაპირველად ეგოცენტრულია, რადგან მის ხასიათში კოდირებული ზნეობრივი და ესთეტიკური ღირებულებების სისტემა ჯერ მხოლოდ ჩანასახოვან მდგომარეობაშია და აღმზრდელობითი ზემოქმედების თვალსაზრისით დამატებით შემაგრებასა და სრულყოფას მოითხოვს, მაგრამ, მეორე მხრივ, სწორედ ბავშვს, რომლის წმინდა სულიერი სამყაროსათვის ულმობელ ცხოვრებისეულ სინამდვილეს ჯერ კიდევ არ დაუმჩნევია იდეალების მსხვრევით გამოწვეული ნაიარევები, ჩვენზე, მოზრდილებზე უკეთ შეუძლია ცხოვრებაში სილამაზის, სიკეთისა და სიბრძნის აღმოჩენით გამოწვეული აღფრთოვანება განიცადოს და ჩვენგან განსხვავებით მისი ბედნიერება სიდიადეს სწორედ იმიტომ უტოლდება, რომ სიკეთე, სიყვარული და სილამაზე მას საყოველთაო მოვლენად მიაჩნია.

ჭეშმარიტი აღზრდის საზრისიც ხომ სწორედ ამ განცდის დაკვირვებასა და კულტივირებაშია.

ფსიქოლოგი
გესიკ გიგოლაშვილი

ინციდენტი ვაშლოვანში — დაკავებულია მესაზღვრე

ვაშლოვანის ნაკრძალში მომხდარი ინციდენტის გამო სპეციალური საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა დედოფლისწყაროს სასაზღვრო პოლიციის სერჟანტი, სექტორ მიჯნისყურეს მესაზღვრე დააკავეს. მას ბრალად უფლებამოსილების გადამეტება ედება.

ინციდენტის შესახებ დედოფლისწაროში მყოფმა ტურუსტული ჯგუფის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა სოციალურ ქსელში დაწერა:

„2012 წლიდან ლაშქრობებზე დავდივარ და ასეთი შემთხვევა პირველად და იმედი მაქვს უკანასკნელად შემემთხვა მე და არამარტო მე, სხვა ტურისტებსაც!!! 27-28 მაისს ვიყავით ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე 13 ადამიანი. სასაზღვრო ზონაში მესაზღვრეთა პოსტი გავიარეთ, გადავიხადეთ მოსაკრებელი, მივედით ბანაკამდე, გვგონია, რომ დაცულ ტერიტორიაზე ვართ, სადაც რეინჯერების გარდა მესაზღვრეებიც არიან და მაქსიმალურად დაცულად ვგრძნობდით თავს, მანამ სანამ არ დაღამდა... ამინდის გამო ცოტა ადრე მოგვიწია კარვებში შესვლა და ღამე 00:00-01:00 ზე გვაღვიძებს როგორც შემდეგ გავარკვიეთ მესაზღვრის ხმა. თავიდან გვეგონა, რომ ვიღაცამ დალია და თავისთვის ბოდიალობდა. მაგრამ არა! „ჯიგარ“ მესაზღვრეს დაულევია და დაჭერილი ჰყავდა ბელორუსი და რუსი ტურისტი, რომელსაც აბულინგებდა, ხელბორკილი დაადო, რომელზეც უთხრა: - უიი, გასაღები არ მქონიაო, შემდეგ დავარდნილი პომიდორის აღება უბრძანა. შემდეგ იარაღი გადატენა და გაისროლა ჩვენი ბანაკის მიმართულებით, მეორედ გადატენა და იქვე დაიდო! კარვებს შორის გაიარა ტყვიამ! ტყვიამ გაიარა ჩვენს კარვებს შორის!!! არ დაგვავიწყდეს, რომ მეორე მხარეს აზერბაიჯანელი მესაზღვრეებიც მოძრაობენ!! ხალხო შოკში ვარ! ყველა ფილმი, რომელიც მინახავს ბანაკში ატეხილ სროლებზე ახლაც კი თვალწინ მაქვს“ – წერდა ნანუკა ავალიანი.

„სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა ვაშლოვანის ნაკრძალში მომხდარ ფაქტზე სასაზღვრო პოლიციის თანამშრომელი დააკავა. სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა, 2023 წლის 30 მაისს, ვაშლოვანის ნაკრძალში, ტურისტების მიმართ ძალადობით და იარაღის გამოყენებით სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზე, შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის თანამშრომელი დააკავა.

ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ საქართველოს სასაზღვრო პოლიციის უმცროსი სერჟანტი ი. ც. მიმდინარე წლის 28 მაისს, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების პერიოდში, ვაშლოვანის ნაკრძალში, ტურისტების ბანაკის მიმდებარედ ქვეითად პატრულირებას ახორციელებდა, რა დროსაც ტურისტებთან შელაპარაკება მოუვიდა. მან დიდი ბრიტანეთისა და ბელორუსის მოქალაქე ტურისტებს, თვითნებურად, ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე ხელბორკილი დაადო და რაიმე წინაპირობის არ არსებობის მიუხედავად, სამსახურებრივი ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან ერთი გასროლა მოახდინა, რის შედეგადაც დაზიანება არავის მიუღია.“ – ნათქვამია მათ მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

მესაზღვრეს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა. სასამართლო პროცესი თელავის რაიონულ სასამართლოში 1 ივნისს გაიმართა. ბრალდებულ იმედა ცისკარაულის ადვოკატი, სასამართლოს 10 000 - ლარიანი გირაოს გამოყენებას სთხოვდა. ბრალდების მხარემ კი მოსამართლეს პატიმრობის შუამდგომლობით იმ არგუმენტით მიმართა, რომ არსებობდა მიმალვისა და მტკიცებულებების განადგურების საფრთხე. სხდომაზე ცისკარაულმა განაცხადა, რომ ბრალს ნაწილობრივ ეთანხმება.

ვაშლოვანის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა მერაბ ფიროსმანიშვილმა ჟურნალისტებს უთხრა, რომ მესაზღვრეების მიმართ მსგავსი პრეტენზია მანამდე არცერთ ტურისტს არ გამოუთქვამს.

შემზარავი მკვლელობის დეტალები

განსაკუთრებული სისასტიკით მოკლეს ზემო მაჩხაანში მცხოვრები 20 წლის* გიორგი ალხანიშვილი*, რომელიც 10 დღიანი ძებნის შემდეგ ქობულეთში ტყესთან დამარხული იპოვნეს. მკვლელობაში ბრალდებულია მისივე თანაკლასელი ალექსანდრე ბაჟუნაიშვილი, ვის ოჯახშიც ახალგაზრდები შეიკრიბნენ, თუმცა მან საზღვარგარეთ გაქცევა მოასწრო. უმძიმეს დანაშაულში ბრალდებულს ახლა წითელი ცირკულარით ეძებენ. პოლიციამ სუფრის სამი წევრი დაიკავა. დაკავებული ალექსი ახვლედიანი გვამის დამარხვაში ეხმარებოდა, დავით მენაბდესა და ლუკა ჯიბლაძეს პროკურატურა მძიმე დანაშაულის შეუტყობინებლობას ედავება.

მოკლულის დედა **მარინა მაძღარაშვილი** წლებია ბათუმში ცხოვრობს, სწორედ ამიტომ შვილი დაწყებით კლასებში ბათუმის სკოლაში შეიყვანა, რამდენიმე წელში კი ზემო მაჩხაანის სკოლაში გადაიყვანა. ორი წლის წინ გიორგი ალხანიშვილმა ზემო მაჩხაანის საჯარო სკოლა დაამთავრა, მას შემდეგ პერიოდულად დედასთან ბათუმში ჩადიოდა. ახლაც დედოფლისწყაროდან აჭარაში ამ მიზნით წავიდა. 16 მაისს ბავშვობის მეგობრებმა გიორგი ქობულეთში საქეიფოდ წაიყვანეს. მას შემდეგ მისი კვალი დაიკარგა. სუფრის წევრები დაკარგულის დედას არწმუნებდნენ, რომ გიორგი ტაქსით გამოაცილეს და არაფერი იცოდნენ. სამძებრო სამუშაოებში პოლიცია 22 მაისს ჩაერთო, 26 მაისს კი მეზობელ სოფელ აჭყვისთავის ტერიტორიაზე ტყესთან, სტადიონის გვერდით დამარხულს მიაგნეს. ახლობლები ამბობენ, რომ ძაღლებმა სუნით იპოვნეს. ცხედარი 8 დღის განმავლობაში დამარხული იყო, რის გამოც მისი ამოცნობა შეუძლებელი გახდა, დედამ შვილი ჯვრითა და პირადი ნივთებით ამოიცნო. მოკლული ზემო მაჩხაანში გადმოასვენეს და 30 მაისს დაკრძალეს.

ახალგაზრდები ბათუმიდან ქობულეთის წავიდნენ და სოფელ ლეღვაში, პაპის, **გურამ ბაჟუნაიშვილის** სახლში ქეიფობდნენ. ბაჟუნაიშვილი ამბობს, რომ ახალგაზრდებს სუფრა გაუშალა და საღამოს მარტო დატოვა. სახლში კონფლიქტი არ ყოფილა და პირიქით, ახალგაზრდები კარგად ერთობოდნენ, ცეკვავდნენ და მღეროდნენ. დილით კი შეამჩნია, რომ 1 ადამიანი აკლდათ, რაზეც უპასუხეს, რომ წითელი ტაქსით გააცილეს. ჩამოსვლიდან 3 დღეში მისმა შვილიშვილმა საქართველო დატოვა და ლონდონში დაბრუნდა. ის ლონდონში სწავლობდა და მეგობარ გოგონასთან ერთად, აჭარაში დასასვენებლად 5 დღით ჩამოვიდა.

ოფიციალური ვერსიით, ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლეღვაში 17 მაისს სიტყვიერ დაპირისპირებას სისხლიანი გარჩევა მოჰყვა, რა დროსაც, 20 წლის ალექსანდრე ბაჟუნაიშვილმა საკუთარ სახლში სტუმრად მყოფი თანატოლი, გიორგი ალხანიშვილი დანის

მკვლელობის ადგილი

მოკლულის დედა

დაკავება

რამდენიმე დარტყმით ადგილზე მოკლა. დანაშაულს არაერთი თვითმხილველი ჰყავს. კონფლიქტის დროს ოთახში 4 სხვა პირიც იმყოფებოდა. მათ შორის, მკვლელობაში ბრალდებულის საცოლეც. სასტიკი დანაშაული არცერთ მათგანს გაუმხელია.

სამი დაკავებული მოსამართლე **კოტე ჭილაიას** შეკითხვაზე დანაშაულს აღიარებს და განმარტავს, რომ დანაშაული მკვლელის მხრიდან მუქარისა და შიშის მიზეზით დამალეს. მათი თქმით, მუქარას მკვლელობაში ბრალდებულის ალექსანდრე ბაჟუნაიშვილის მხრიდან განიცდიდნენ. პროკურორ თორნიკე გოგეშვილის განმარტებით, ბრალდებულს, რომელმაც ქვეყნის დატოვება მოასწრო, ბრალი დაუსწრებლად წარედგინა, მისი ადგილსამყოფელი გამოძიებისთვის უცნობია. მიმდინარეობს ღონისძიებები მისი ადგილმდებარეობის დასადგენად. პროკურორის მტკიცებით, ამ ეტაპზე მკვლელობის მოტივად ნასვამ მდგომარეობაში ურთიერთშელაპარაკება სახელდება.

თორნიკე გოგეშვილი *(პროკურორი):* „სასტიკი მკვლელობა მიმდინარე წლის 16 მაისს ღამით მოხდა. მეორე დღეს მკვლელობაში ბრალდებულმა შემთხვევის დროს მყოფი პირის დახმარებით ცხედარი დაუსახლებელ ტერიტორიაზე მანქანის საბარგულით გადაიტანა და დამარხა, თვითონ კი 19 მაისს ქვეყანა თურქეთის გავლით დატოვა. სამძებრო სამუშაოები 22 მაისიდან დაიწყო, როცა გარდაცვლილის ოჯახის წევრებმა მისი გაუჩინარების შესახებ სამართალდამცველებს მიმართეს, მათ იცოდნენ ადგილსამყოფელი, თუმცა ოჯახის წევრებს ინციდენტში მონაწილეები უმტკიცებენ, რომ ახალგაზრდა სახლიდან ტაქსით გააცილეს“

„შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის პოლიციის დეპარტამენტში 22 მაისს შემოვიდა შეტყობინება, 2003 წელს დაბადებული გ.ა.-ს გაუჩინარების შესახებ, რის საფუძველზეც პოლიციამ გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 143-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დაიწყო. დადგინდა, რომ მიმდინარე წლის 16 მაისს, გ.ა. მეგობრებთან ერთად ქობულეთის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ სოფელში, მეგობრის საცხოვრებელ სახლში იმყოფებოდა. ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, 2003 წელს დაბადებულმა ა.ბ.-მ ცივი იარაღით, რამდენიმე ჭრილობა მიაყენა გ.ა.-ს. დაზიანებების შედეგად, ახალგაზრდა მამაკაცი შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა.

დანაშაულის დაფარვის მიზნით, ბრალდებულმა და 2003 წელს დაბადებულ ა.ა.-მ, გ.ა.-ს ცხედარი ავტომობილის საბარგულში მოათავსეს და სოფლიდან მოშორებით, ტყის პირას დამარხეს.

სამართალდამცველებმა, ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და გამოძიების შედეგად, ა.ა. დანაშაულის დაფარვის ბრალდებით, მომხდარიდან რამდენიმე დღეში დააკავეს. გამოძიებით ასევე დადგინდა, რომ გ.ა.-ს მკვლელობის ფაქტს შეესწრნენ: 2003 წელს დაბადებული დ.მ. და ამავე წელს დაბადებული ლ.ჯ., თუმცა პოლიციას მომხდარი დანაშაულის შესახებ არ შეატყობინეს. ორივე პირი განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შეუტყობინებლობისთვის დააკავეს.

გამოძიებისთვის ცნობილი გახდა, რომ მკვლელობის ჩამდენმა პირმა, 2003 წელს დაბადებულმა ა.ბ.-მ, 19 მაისს, გ.ა.-ს გაუჩინარების შესახებ შინაგან საქმეთა სამინისტროში შეტყობინების შესვლამდე, ქვეყანა დატოვა. სამართალდამცველების მიერ აღნიშნულ პირს, მკვლელობის ფაქტზე ბრალი დაუსწრებლად წარედგინა. გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე, 375- მუხლის მე-2 და 376-ე მუხლის მე-2 ნაწილით მიმდინარეობს, რაც განზრახ მკვლელობას, განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შეუტყობინებლობას და დაფარვას გულისხმობს.” – ნათქვამია განცხადებაში.

სამივე დაკავებულს აღკვეთის ღონისძიების სახით ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ პატიმრობა შეუფარდა. მომდევნო სასამართლო პროცესი 18 ივლისს დაინიშნა. ივლისის ბოლოს გაირკვევა, რამდენ წელს მიუსჯიან თანაკლასელის მკვლელს.

გვერდი მოამზადა

ილია მარტყოფლიშვილმა

კოლეჯი „აისი“ აცხადებს მიღებას 2023-2024 სასწავლო წლისთვის

სსიპ კოლეჯი „აისი“-ს დედოფლისწყაროს ფილიალში დაიწყო რეგისტრაცია 22 მაისიდან 10 სექტემბრის ჩათვლით შემდეგ პროფესიულ პროგრამებზე:

ინჟინერიის მიმართულება:

1. ელექტროობა – III დონე (სწავლის ხანგრძლივობა 9,5 თვე)
2. ქვის სამუშაოების წარმოება – III დონე (სწავლის ხანგრძლივობა 11 თვე)
3. შედუღება – IV დონე (სწავლის ხანგრძლივობა 14 თვე)

ხელოვნების მიმართულება:

1. თმისა და სილამაზის მომსახურება – III დონე (ხანგრძლივობა 10,5 თვე)
2. თექის დამზადება – III დონე (სწავლის ხანგრძლივობა 13,5 თვე)

ჩარიცხვა ხდება გასაუბრების საფუძველზე კონკურსის წესით. სწავლა სრულიად ფინანსდება სახელმწიფოს მიერ. სწავლის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:

2 ცალი ფოტო სურათი /ზომით3X4/ პირადობის მოწმობის ასლი; განათლების მოწმობის ასლი; განცხადება /ადგილზე შევსებით/

საბუთების მიღება დაიწყო! იჩქარეთ!

დაწვრილებითი ინფორმაციისთვის გთხოვთ მობრძანდით კოლეჯში, მისამართზე: **ქ. დედოფლისწყარო, სოფელი სამრეკლო (ყოფილი ჯაფარიძე)**

ტელ: 577 577 159; 577 962 967

„ხატვის პროცესი ემოციებით გაჟღენთვასა და, ამავდროულად, მათ გაშვებას ჰგავს“...

31 მაისს, თბილისში, საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში, დედოფლისწყაროელი მხატვრის ნინო ჭაბაშვილის პერსონალური გამოფენა გაიმართა. გამოფენას ესწრებოდნენ ნინოს მეგობრები, ოჯახის წევრები და მხატვრობით დაინტერესებული პირები.

ნინო ჭაბაშვილი 29 წლისაა. მან დაამთავრა დედოფლისწყაროს პირველი საჯარო სკოლა და შემდეგ-ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დიზაინის ფაკულტეტი. მისი დედა, თამილა ნადირაშვილიც ხელოვნებას ემსახურება-ის დედოფლისწყაროს სამუსიკო სკოლის გამორჩეულად ნიჭიერი პედაგოგია. ნინოს ხელოვნებასთან ზიარება ბავშვობის ასაკში მოხდა. ის ბავშვობიდან ხატავს. პროფესიის არჩევანიც ხატვისადმი ინტერესმა განაპირობა.

ნინო ჭაბაშვილი: „ჩემი ნამუშევრები შთაგონებულია ადამიანებით, მათი ისტორიებითა და გრძნობებით მათი სახეების მიღმა. ვქმნი ილუსტრაციებს და გრაფიკულ ნამუშევრებს, Pop-არტის სტილში. ჩემს ნამუშევრებს შორის ერთი საერთოა ის, რომ ისინი ადამიანებზეა, მათ უკან არსებულ ამბებზე და ემოციებზე, რომლებსაც ისინი განიცდიან. ხელოვნება თავს თავისუფლად მაგრძნობინებს და მეხმარება საკუთარი თავის სხვადასხვა პერსპექტივიდან დანახვაში, თითქოს ცვალებადი და განსხვავებული ვარ, როგორც ჩემი პორტრეტები. მუშაობისას მარტო ყოფნა მირჩევნია. ხატვის პროცესი ემოციებით გაჟღენთვასა და, ამავდროულად, მათ გაშვებას ჰგავს. ნამუშევარი მაქვს სხვადასხვა პროექტებზე, შექმნილი მაქვს დაახლოებით 500 ნამუშევარი“.

ის არა მხოლოდ მხატვარია, არამედ შესანიშნავი მთხრობელიცაა. დიახ, ნახატებით გვიამბობს ამბებს, თავად ირჩევს პერსონაჟებს და მათი ხასიათის თავისებურებებზე გვესაუბრება ნაზი ხაზებითა და დახვეწილი შტრიხებით, ფერებით. მის ნახატებში დიდი ადგილი უკავია გრაფიკულ ნამუშევრებს, პორტრეტები შექმნილია იაპონური ხატვის სტილით, ოქროცურვილი ძაფებით ნაქარგის შთაბეჭდილებას რომ ტოვებენ.





როგორც ნინო ამბობს, მასში შინაგად ბევრი ძალა, ენერგია, ემოციები, აზრებია. ყველაფერს უღრმავდება და მძაფრად შეიგრძნობს. როგორც ყველა ჭეშმარიტ ხელოვანს, ბევრი რამით შეუძლია აღტაცება და ამ შინაგანი ამბების თვითგამოხატვის მოთხოვნილება აქვს. **„როცა ამას ვაკეთებ, თავს კარგად ვგრძნობ, თითქოს სხვანაირად ვერ ვძლებ. ხელოვნება ჩემთვის სუნთქვასავითაა“**- ამბობს ის.

გამოფენა გაიხსნა ოპერის ახალგაზრდა სოლისტების-მარიამ ფირცხალაიშვილის, ლევან ტაბატაძის მიერ შესრულებული საოპერო არიებით. მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ მაყვალა გონაშვილმა ნანა ჭიჭინაძეს გადასცა სიგელი-თამარიონის ენდალმა ნაყოფიერი საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის.

ღონისძიებაში მონაწილეობდა მხატვრის დედა, თამილა ნადირაშვილი, რომელმაც ცნობილი კომპოზიტორების საფორტეპიანო ნაწარმოებები შეასრულა მოსწავლესთან თეკლა წიკლაურთან ერთად. გამოფენა დასრულდა ანიტა რაჭველიშვილის მიერ შესრულებული არიით.

***

გაზეთ „შირაქის“ რედაქცია ულოცავს ნინო ჭაბაშვილს პირველ პერსონალურ გამოფენას და წარმატებებს უსურვებს შემოქმედებით გზაზე. მუდამ ჰქონოდეს სამყაროს განსხვავებული აღქმისა და მოვლენებით აღტაცების, ამბების ფურცელზე ფერებით თხრობის სურვილი და უნარი.

ინგა შიოლაშვილი

იყიდება!

იყიდება სახლი სოფელ ზემო მაჩხაანში არმათიონის ეკლესიასთან. 600 კვ.მ, მიმდებარე ფართობით და ბაღით, 135 კვ.მ საცხოვრებელი ფართით, ორი სარდაფით - საერთო ფართობით 60კვ.მ. აგრეთვე, 40 კვ.მ სამეურნეო დანიშნულების ნაგებობით. ფასი შეთანხმებით.

555 39 07 56; 568 150 250;

ამინდი დედოფლისწყარო

	ორშაბათი 05.06	სამშაბათი 06.06	ოთხშაბათი 07.06	ხუთშაბათი 08.06	პარასკევი 09.06	შაბათი 10.06	კვირა 11.06
დღე	26 °	23 °	21 °	24 °	26 °	27 °	28 °
ღამე	15 °	14 °	14 °	14 °	15 °	16 °	16 °

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი **ინგა შიოლაშვილი**
რედაქტორი **ილია მარტყოფლიშვილი**
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ჟუჟუნა ყანჩაშვილი (ჟურნალისტი); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ხათუნა ბენაშვილი (კორექტორი); ნათელა ბოსტაშვილი (ბულალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (საქმის მწარმოებელი).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „კოლორ პრესის“ სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
☎ 0 356 22 22-85;
598 72-18-72 (დირექტორი)
593 275-275 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.
გაზეთის გამოწერა წელიწადში – 20 ლარი